

## საქართველოს კანონი

### „სახელმწიფო სპეციალური წოდებების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების და დამატებების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „სახელმწიფო სპეციალური წოდებების შესახებ“ საქართველოს კანონში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, N48, 2000 წელი, მუხ. 137) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

1. პირველი მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

“2. სპეციალური წოდებები წესდება შემდეგი სახელმწიფო დაწესებულებების მოსამსახურეებისათვის:

- ა) საქართველოს იუსტიციის სამინისტრო;
- ბ) საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო;
- გ) საქართველოს პროკურატურა, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების იუსტიციის საბჭოები;
- დ) საქართველოს ფინანსთა სამინისტრო;
- ე) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო;
- ვ) საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური;
- ზ) საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო;
- თ) საქართველოს კონტროლის პალატა.”

2. კანონის მე-2 თავს დაემატოს შემდეგი შინაარსის 52 მუხლი:

„მუხლი 52. საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სპეციალური წოდებები

1. საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სისტემაში წესდება შემდეგი სპეციალური წოდებები:

ა) საშუალო სპეციალური წოდება – უმცროსი ინსპექტორი, III კლასის ინსპექტორი, II კლასის ინსპექტორი, I კლასის ინსპექტორი;

ბ) უფროსი სპეციალური წოდება – ინსპექტორი, წამყვანი ინსპექტორი, მთავარი ინსპექტორი

გ) უმაღლესი სპეციალური წოდება – გარემოს დაცვის სახელმწიფო ინსპექტორი, გარემოს დაცვის მთავარი სახელმწიფო ინსპექტორი

2. საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – გარემოს დაცვის ინსპექციის მოსამსახურეთა სპეციალურ წოდებას წინ დაემატოს სიტყვები „გარემოს დაცვის“.

3. კანონს დაემატოს შემდეგი შინაარსის 5<sup>3</sup> მუხლი:

„მუხლი 5<sup>3</sup>. საქართველოს კონტროლის პალატის სპეციალური წოდებები

1. საქართველოს კონტროლის პალატის სისტემაში წესდება შემდეგი სპეციალური წოდებები:

ა) საშუალო სპეციალური წოდება – უმცროსი ინსპექტორი, III კლასის ინსპექტორი, II კლასის ინსპექტორი, I კლასის ინსპექტორი;

ბ) უფროსი სპეციალური წოდება – კონტროლიორი, წამყვანი კონტროლიორი, მთავარი კონტროლიორი;

გ) უმაღლესი სპეციალური წოდება – სახელმწიფო კონტროლიორი, მთავარი სახელმწიფო კონტროლიორი.

2. კონტროლის პალატის სისტემის თანამშრომლებს საშუალო და უფროს სპეციალურ წოდებებს ანიჭებს საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარე, ხოლო უმაღლეს სპეციალურ წოდებას – საქართველოს პრეზიდენტი.“.

3. კანონის მე-6 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

“მუხლი 6. სამსახურის ვადა სპეციალური წოდების მისანიჭებლად

1. მორიგი სპეციალური წოდების მისანიჭებლად დაწესებულია სპეციალური წოდებით სამსახურის შემდეგი ვადა:

ა) უმცროსი ლეიტენანტი, უმცროსი იურისტი, უმცროსი ინსპექტორი – 1 წელი;

ბ) ლეიტენანტი, III კლასის იურისტი, III კლასის ინსპექტორი – 2 წელი;

გ) უფროსი ლეიტენანტი, II კლასის იურისტი, II კლასის ინსპექტორი – 3 წელი;

დ) კაპიტანი, კაპიტან-ლეიტენანტი, I კლასის იურისტი, I კლასის ინსპექტორი – 3 წელი;

ე) მაიორი, მესამე რანგის კაპიტანი, იუსტიციის უმცროსი მრჩეველი, III კლასის მრჩეველი, ინსპექტორი, კონტროლიორი – 4 წელი;

ვ) ვიცე-პოლკოვნიკი, მეორე რანგის კაპიტანი, იუსტიციის მრჩეველი, II კლასის მრჩეველი, წამყვანი ინსპექტორი, წამყვანი კონტროლიორი – 5 წელი;

ზ) პოლკოვნიკი, პირველი რანგის კაპიტანი, იუსტიციის უფროსი მრჩეველი, I კლასის მრჩეველი, მთავარი ინსპექტორი, მთავარი კონტროლიორი – 5 წელი.”

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

